დანართი #1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო პედაგოგის წოდების მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება სასწავლო წლის შედეგების მიხედვით მიენიჭება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან (შემდგომში - ფაკულტეტი) და ენების შემსწავლელი ცენტრიდან თითო პედაგოგს მისი სტატუსის მიუხედავად (აკადემიური/მოწვეული პერსონალი).
2. წლის საუკეთესო პედაგოგის შერჩევას ახორციელებენ ბაკალავრიატისა და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.

მუხლი 2. წლის საუკეთესო პედაგოგის შერჩევის კრიტერიუმები

წლის საუკეთესო პედაგოგის შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს:
ა) პედაგოგის ინდივიდუალური ურთიერთობა სტუდენტებთან (კონსულტაცია სალექციო საათების გარეთ, დახმარება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, სტატიების მომზადებისათვის და ა.შ);
ბ) სალექციო მასალის აქტუალურობა;
გ) სალექციო მასალის საინტერესოდ მიწოდება და ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული თუ ლაბორატორიული მეცადინეობების მაღალ დონეზე გაძღოლა.

მუხლი 3. წლის საუკეთესო პედაგოგის შერჩევა

1. ბაკალავრიატისა და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ნებაყოფლობითი ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე წლის საუკეთესო პედაგოგის შერჩევა ხდება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირას.
2. სტუდენტი მიმდინარე სასწავლო წლის მიხედვით მისი კურიკულუმის წლიური დისციპლინების ფარგლებში ელექტრონულ ბაზაში (sms.tsu.ge) წარმოდგენილი პედაგოგების ჩამონათვალიდან ასევე ელექტრონულად აფიქსირებს მხოლოდ ერთ

კანდიდატს, რომელიც ამ სასწავლო წლის თუნდაც ერთი სემესტრის განმავლობაში იყო მისი პედაგოგი.
3. სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი და ენების შემსწავლელი ცენტრი.
4. გამარჯვებულად გამოვლინდება კანდიდატი, რომელმაც მიიღო გამოკითხვაში მონაწილეთა ხმათა უმრავლესობა. თუ ხმათა მაქსიმალური რაოდენობა მიიღო რამდენიმე კანდიდატმა, ყველა ისინი ითვლება გამარჯვებულად.
5. ინფორმაცია შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო პედაგოგის შესახებ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს თითოეულ ფაკულტეტზე და ენების შემსწავლელ ცენტრში წლის საუკეთესო პედაგოგს (პედაგოგებს).

მუხლი 4. წლის საუკეთესო პედაგოგის ფინანსური წახალისება

1. წლის საუკეთესო პედაგოგს მიეცემა ფულადი პრემია 2 500 ლარის ოდენობით.
2. ერთი და იგივე ფაკულტეტზე ან ენების შემსწავლელ ცენტრში ორი ან მეტი საუკეთესო პედაგოგის გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული თანხა თანაბრად იყოფა.

მუხლი 5. წლის საუკეთესო პედაგოგის დაჯილდოვება

1. წლის საუკეთესო პედაგოგის დაჯილდოვება ფულადი პრემიითა და სპეციალური სერტიფიკატით ხდება ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო შეხვედრაზე.